საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

საქართველოს **ფინანსთა სამინისტროს სისტემის კადრების სწორად შერჩევა, პროფესიული სწავლება, მომზადება/გადამზადება და მათი მუშაობის ეფექტიანობის ზრდა**:

- საგადასახადო კანონმდებლობისა და აუდიტის ჩატარების გაცნობისა და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტისა და დავების განხილვის სამსახურის თანამშრომლებმა გაიარეს და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები ესწრებიან სასწავლო კურსს **„საგადასახადო კანონმდებლობა და აუდიტის განხორციელების პროცედურები**“ (სულ 23 მსმენელი).
- ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერილობითი მოლაპარაკებების უკეთ წარმართვის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისთვის დასრულდა ტრენინგის მეორე ეტაპი **ინგლისურ ენაში** (102 მსმენელი).
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, მიმდინარეობს **სპეციალიზებული კურსი**. პროგრამა მოიცავს შემდეგ მოდულებს: საგადასახადო კანონმდებლობის არსი და გადასახადის გადამხდელთან არსებული საგადასახადო რისკების მოძიება; ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების სპეციფიკა საჯარო სექტორში; სახელმწიფო შესყიდვები (სულ 97 მსმენელი).
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიდა კონტროლის დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის ექსელის პროგრამის გამოყენებით ფინანსური ანგარიშგების ასახვისა და განთავსებული ინფორმაციის ანალიზის შესწავლის მიზნით, ჩატარდა ტრენინგი **„Ms. Excel პროფესიული კურსი, დონე- Intermediate“** (10 მსმენელი).
- კერძო საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების სამსახურისა და სსიპ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისთვის სხვა კომპანიების თანამშრომლებთან ერთად ჩატარდა და ამჟამად მიმდინარეობს სასწავლო კურსები **„ბუღალტრული აღრიცხვა სამეწარმეო სუბიექტებში“ (საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით)** (სულ 18 მსმენელი).
- ქართული ენის ნორმების დაცვის, გამართული მიმოწერის წარმართვისა და საქმიანი ქაღალდების ეფექტიანად შედგენის მიზნით, სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის და

მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი **„პროფესიული წერა და საქმიანი კომუნიკაცია“** (36 მსმენელი).

- საჯარო ორგანიზაციებში საქმიანობის დაგეგმვის, შესრულებისა და კონტროლის კუთხით ხარისხის ამაღლების მიზნით საჯარო ორგანიზაციების მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერებთან ერთად ფინანსთა სამინისტროს საშუალო რგოლის წარმომადგენლები ესწრებიან სასწავლო კურსს **„საჯარო ფინანსების მართვა“** (12 მსმენელი).
- ხაზინის სამსახურის თანამშრომელთათვის ჩატარდა ტრენინგი **ინვესტიციების მართვა** (16 მსმენელი).
- სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვისა და ტენდერის ჩატარების პროცედურების შესწავლის მიზნით, სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად ფინანსთა სამინისტროს შიდა კონტროლის დეპარტამენტის თანამშრომლისთვის ჩატარდა სასწავლო კურსი **„სახელმწიფო შესყიდვები“** (1 მსმენელი).
- სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის სხვა თანამშრომლებისათვის, რომლებიც აგრეთვე თანამშრომლობენ აკადემიასთან ტრენერებად, ტრენინგის დაგეგმვისა და განხორციელების თანამედროვე მეთოდიკის გაცნობის მიზნით ჩატარდა კურსი თემაზე **„ტრენერთა ტრენინგი**“ (31 მსმენელი).
- შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისათვის ტრენინგის დაგეგმვისა და განხორციელების, თანამედროვე მეთოდიკის გაცნობის, უცხოური გამოცდილების გაზიარების მიზნით, ჩატარდა კურსი თემაზე **„ტრენერთა ტრენინგი**“ (9 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის აუდიტის სამსახურის თანამშრომლებს ფიზიკურ პირებთან ერთად ჩაუტარდათ ტრენინგი **„ელექტრონული საბუღალტრო პროგრამა ორისი“** (1 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სსიპ- ფინანსთა სამინისტროს აკადემიისა და მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებისთვის განხორციელდა ტრენინგი **Adobe Photoshop, Adobe Illustrator “** (16 მსმენელი).
- სამუშაო დროისა და მიზნების ეფექტურად და პრიორიტეტების მიხედვით გადანაწილების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სსიპ-შემოსავლების სამსახურის, სსიპ-საფინანსო ანალიტიკური სამსახურის, სსიპ- ფინანსთა სამინისტროს აკადემიისა და მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი **„დროისა და მიზნების მართვა“** (46 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის სხვადასხვა საწარმოს ფინანსური სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად განხორციელდა ტრენინგი „**ფინანსური ანალიზი, ანგარიშგება, მართვა**“, რომლის ფარგლებში მსმენელები სწავლობენ შემდეგ საკითხებს: ფინანსური მენეჯმენტი, ფინანსური ანალიზი და ანგარიშგება, კორპორატიული ფინანსები, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა (7მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობის გაცნობისა და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს დავების სამსახურისა და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისთვის განხორცილდა

და ამჟამადაც მიმდინარეობს სასწავლო კურსი **„საგადასახადო კანონმდებლობა“** (სულ 18 მსმენელი).

- ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და სსიპ-შემოსავლების სამსახურის

  თანამშრომლებისთვის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი ფორმებისა და პრინციპების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტების, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების წესის, აღსრულების საკითხების, დავებისა და პრობლემების გადაჭრის გზების, სახელმწიფოსა და საჯარო მოსამსახურეთა პასუხისმგებლობის საკითხების განხილვის მიზნით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე **„ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“** (22 მსმენელი).
- სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემიის თანამშრომლებისთვის ექსელის პროგრამის გამოყენებით ანგარიშგებების ასახვისა და განთავსებული ინფორმაციის ანალიზის შესწავლის მიზნით, ჩატარდა ტრენინგი **„Ms. Excel პროფესიული კურსი, დონე- Basic“** (43 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის , სსიპ-შემოსავლების სამსახურის, სსიპ-საფინანსო ანალიტიკური სამსახურის, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემიისა და მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებისთვის პროექტის მენეჯმენტის, როგორც ცალკე დისციპლინის, მისი გამოყენების აუცილებლობების და უპირატესობების, პროექტის მენეჯმენტის შემადგენელი კომპონენტების, უახლესი მიდგომებისა და პროექტის ეფექტური დაგეგმვის გაცნობის მიზნით, ჩატარდა ტრენინგი **„პროექტების მართვა“** (14 მსმენელი).
- აშშ-ის საელჩოსთან ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში სსიპ - შემოსავლების სამსახურის შუა რგოლის მენეჯერებისათვის ლიდერობის უნარების განვითარების მიზნით ჩატარდა ტრენინგი **„ლიდერობა და მართვა“** (20 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, მომსახურების სააგენტოს, შემოსავლების სამსახურისა და აკადემიის თანამშრომლებისთვის მომსახურების ხარისხის ამაღლების კუთხით ჩატარდა ტრენინგ კურსი **‘გაყიდვის თანამედროვე ტექნიკები**“ (სულ 16 მსმენელი).
- სსიპ- ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისათვის პრეზენტაციების ჩატარებისა და მოლაპარაკებების წარმოების ტექნიკების დახვეწის მიზნით ჩატარდა ტრენინგი „**მოლაპარაკების წარმოება, არგუმენტირებული მსჯელობა და დარწმუნების უნარ-ჩვევები**“ (53 მსმენელი).
- სსიპ-შემოსავლების სამსახურის სტრატეგიის შემუშავებისათვის ტექნიკების დახვეწისა და ახალი მიდგომების გაზიარების მიზნით ჩატარდა ერთდღიანი ტრენინგი **“სტრატეგიის ფორმირება“** (17 მსმენელი).
- სტრესის პირობებში სიტუაციის ადეკვატურად მართვის, სტრესით გამოწვეული ფსიქოლოგიური ტრავმის სირთულეების დაძლევის და გადალახვის მიზნით ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი **„ემოციური სტაბილურობა და სტრესის მართვა“** (20 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისათვის პრეზენტაციებისა და საჯარო

გამოსვლების უკეთ ჩატარების მიზნით, ჩატარდა ტრენინგი: **„პრეზენტაციის ჩატარების ტექნიკები“** (39 მსმენელი).

- შემოსავლების სამსახურის, მომსახურების სააგენტოსა და აკადემიის შუა რგოლის მენეჯერებისათვის ლიდერობის უნარების განვითარების მიზნით ჩატარდა ტრენინგი **„ლიდერობა და მართვა“** (49 მსმენელი).
- ვერბალური, არავერბალური და წერითი კომუნიკაციის უნარების განვითარებისა და დახვეწის მიზნით შემოსავლების სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი “**სტრატეგიული კომუნიკაცია“** (სულ 33 მსმენელი).
- შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის **პროგრამული უზრუნველყოფის** გამოყენების საკითხებზე (wco) Ncen ჩატარდა ტრენინგი (სულ 6 მსმენელი).
- საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებისთვის დაძმობილების პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი **„საინფორმაციო ტექნოლოგიური საშუალებებით ექსპერტიზის წარმოება“** (სულ 12 მსმენელი).
- Ms. Word-ში მუშაობის ტექნიკების დახვეწის მიზნით ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი **კომპიუტერულ პროგრამაში Ms. Word** (სულ 7 მსმენელი).
- ოფიციალური და საქმიანი კომუნიკაციის, კორესპონდენციის და წერის სტანდარტების გაცნობის მიზნით ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, შემოსავლების სამსახურისა და აკადემიის თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი **„ანგარიშების წერა, საქმიანი კომუნიკაცია და კორესპონდენცია**“ (სულ 12 მსმენელი).
- საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებისთვის დაძმობილების პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი **დანაშაულის ოპერატიული ანალიზი“** და **„საინფორმაციო ტექნოლოგიების ანალიზისთვის საჭირო ინსტრუმენტები“** (სულ 19 მსმენელი).
- კონფლიქტების პრევენციის, მათი თავიდან აცილებისა და მართვის უნარების დაუფლების მიზნით შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სამართალდარღვევათა გამოვლენის სამმართველოს თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი **„კონფლიქტური სიტუაციების მართვა“** (სულ 42 მსმენელი).
- Ms. PowerPoint-ში მუშაობის ტექნიკების დახვეწის მიზნით ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, შემოსავლების სამსახურისა და მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებისთვის ჩატარდე ტრენინგი **კომპიუტერულ პროგრამაში Ms. PowerPoint**. (სულ 10 მსმენელი)
- სსიპ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისთვის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების თანამშრომლებსა და ფიზიკური პირებთან ერთად საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების მიზნით, ტარდება სასწავლო **კურსი: “ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და ფინანსური აღრიცხვა/ანგარიშგება საჯარო სექტორში**“ (8 მსმენელი).
- საბიუჯეტო სისტემისა და პროგრამული ბიუჯეტირების თემატიკის დეტალური განხილვისა და შესწავლის მიზნით ცენტრალური აპარატისა და შემოსავლების
-

სამსახურის თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი **„საბიუჯეტო სისტემა და პროგრამული ბიუჯეტირება“** (9 მსმენელი).

- ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, ხაზინის, მომსახურებს სააგენტოს, შემოსავლების სამსახურის, აკადემიის, საფინანსო -ანალიტიკურის ადამიანური რესურსების მიმართულების თანამშრომლებს ორგანიზაციაში თანამშრომელთა მოტივაციის თეორიებისა და ახალი მიდგომების გაცნობისა და დანერგვის კუთხით ჩაუტარდათ ტრენინგი **„მოტივაციის სისტემები“** (19 მსმენელი).
- მოგების გადასახადის რეფორმასთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ ტრენინგს **“მოგების გადასახადის რეფორმა“** დაესწრნენ შემოსავლების სამსახურისა და აკადემიის ადმინისტრაციული განყოფილების თანამშრომლები. (71 მსმენელი)
- ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების სამეურნეო ოპერაციებისა და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ სრული და საიმედო ინფორმაციის ფორმირების, საჯარო სექტორის სპეციფიკის გათვალისწინებით ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების მიზნით, სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად ცენტრალური აპარატისა და მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები ესწრებოდნენ სასწავლო კურსს **„საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება**“ (7 მსმენელი).
- სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის, შესყიდვების დაგეგმვისა და ტენდერის ჩატარების პროცედურების შესწავლის მიზნით, მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებისთვის სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად განხორციელდა სასწავლო კურსი **„სახელმწიფო შესყიდვები“** (4 მსმენელი).
- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო ორგანიზაციების ქონების, აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის წესების და პროცედურების დაცვის მიზნით ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი **„სავალდებულო და შერჩევითი ინვენტარიზაცია საბიუჯეტო ორგანიზაციაში“** (16 მსმენელი)
- მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი **„მომსახურების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა“** (19 მსმენელი).
- საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებისთვის დაძმობილების პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები **უკანონო შემოსავლების მოძიება და ამოღება“** (27 მსმენელი) „**დღგ თაღლითობა“** (25 მსმენელი) **და „ფინანსური ანალიზი და აუდიტი“**(30 მსმენელი).
- სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მებაჟე-ოფიცრებისთვის, რომლებიც ახდენენ ტვირთების იდენტიფიცირებას ჩატარდა ტრენინგი თემაზე: **„ტვირთების შერჩევის სისტემის WCO CTS (Cargo Targeting System) დანერგვა“** (30 მსმენელი).

- სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად აკადემიის თანამშრომელი დაესწრო ტრენინგს **სამეწარმეო სამართალი (1 მსმენელი)**
- უცხოელი ექსპერტის მიერ საქართველოს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს თანამშრომლებისთვის განხორციელდა შეფასების მისია **„საქართველოში სანიტარიული-ფიტოსანიტარული და ვეტერინარული სასაზღვრო სისტემის შეფასება ევროკავშირის სისტემასთან შედარების თვალსაზრისით“** (10 მსმენელი).
- სახელმწიფო ვალის მართვის საკითხებში საქართველოსა და რუმინეთის თანამშრომლობის ფარგლებში რუმინეთის ფინანსთა სამინისტრო კონსულტაციებს უწევს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტს, აღნიშნული კონსულტაციის ფარგლებში, პროფესიული უნარების განვითარების მიზნით ჩატარდა ტრენინგი თემაზე: **„ცოდნის და გამოცდილების გაზიარება ვალის მართვის საკითხებში“** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის, ასევე, მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტის და სახაზინო სამსახურის თანამშრომლებისათვის (სულ 15 მსმენელი).
- ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის, „ექსპორტის კონტროლისა და გაუვრცელებლობა” ფარგლებში საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლების პროფესიული უნარების განვითარების მიზნით ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ორმაგი დანიშნულების საქონელი“ (17 მსმენელი).

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტების სხვადასხვა ვაკანტურ პოზიციაზე პროფესიული მიმართულების ტესტირება და ინგლისური ენის ტესტირება/გასაუბრება ჩაუტარდათ დასაქმების მსურველ კანდიდატებს (სულ 754 კანდიდატი).

ფინანსთა სამინისტროს პრიორიტეტებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს საფინანსო, საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის სწორად და ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობა - საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციებისათვის სასწავლო პროექტების, საკანონმდებლო სიახლეების გაცნობისა და დამატებითი სერვისების შეთავაზების გზით (მათ შორის, კადრების შერჩევის ხელშეწყობით).

- საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებისათვის საერთაშორისო სტანდარტების სამოქმედო გეგმის მიხედვით ჩატარდა ტრენინგი **„საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების სამოქმედო გეგმა“** (22 მსმენელი).

- შიდა აუდიტის დეპარტამენტის ინიციატივით, მათი თანამშრომლებისათვის კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად, ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე **„კრიტიკული აზროვნება“** (18 მსმენელი).
- ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების სამეურნეო ოპერაციებისა და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ სრული და საიმედო ინფორმაციის ფორმირების, საჯარო სექტორის სპეციფიკის გათვალისწინებით ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების მიზნით, სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა სასწავლო კურსი **„საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება“** (25 მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობის გაცნობისა და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, განხორციელდა და აგრეთვე ამჟამად მიმდინარეობს სასწავლო კურსი **„საგადასახადო კანონმდებლობა“** (82 მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობის, საგადასახადო აუდიტის განხორციელების პროცედურების, აუდიტის არსის და ამ მიმართულებით პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, კერძო საწარმოების წარმომადგენლებსა და ფიზიკურ პირებს ჩაუტარდათ და

აგრეთვე, ამჟამად მიმდინარეობს სასწავლო კურსი „საგადასახადო კანონმდებლობა და აუდიტის განხორციელების პროცედურები“ (45 მსმენელი).

- ექსელის პროგრამის გამოყენებით ფინანსური ანგარიშგების ასახვისა და განთავსებული ინფორმაციის ანალიზის შესწავლის მიზნით, ფიზიკური პირებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგი **„ფინანსური მოდელირება ექსელში“** (17 მსმენელი).
- **მოგების გადასახადის რეფორმის განხილვის** მიზნით, განხორციელდა ფინანსთა მინისტრის შეხვედრა საბანკო სექტორის წარმომადგენლებთან (25 მსმენელი).
- ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების თანამშრომლებისა და ფიზიკური პირებისთვის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების მიზნით, ჩატარდა და ამჟამად მიმდინარეობს სასწავლო კურსი: **“ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და ფინანსური აღრიცხვა/ანგარიშგება საჯარო სექტორში“** (სულ 21 მსმენელი).
- ფინანსური მართვისა და კონტროლის, შიდა აუდიტის ინსტრუქციების გაზიარების მიზნით, საჯარო სექტორში დასაქმებული აუდიტის სამსახურის თანამშრომლებისთვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრა **„ფინანსური მართვა და კონტროლი: სტრატეგია, ინსტრუქცია, შიდა აუდიტი“** (20 მსმენელი).
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სხვა სამინისტროების შიდა აუდიტის თანამშრომლებისთვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრა **„პროგრამული ბიუჯეტირების პრაქტიკაში დანერგვა და მასთან დაკავშირებული გამოწვევები “** (სულ 21 მსმენელი).

- ბიზნეს სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თეორიული

  და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებისთვის განხორციელდა და ამჟამად მიმდინარეობს სასწავლო კურსები **„ბუღალტრული აღრიცხვა სამეწარმეო სუბიექტებში“ (საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით)** (19 მსმენელი) .
- ახალი ჯგუფების დაკომპლექტების მიზნით ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც აგრეთვე მოხდა აკადემიის 2016 წლის სასწავლო კალენდრის გაცნობა (30 მსმენელი).
- საჯარო ორგანიზაციებში საქმიანობის დაგეგმვის, შესრულებისა და კონტროლის კუთხით ხარისხის ამაღლების მიზნით, საჯარო ორგანიზაციების თანამშრომლები და საშუალო რგოლის მენეჯერები ესწრებიან სასწავლო კურსს **„საჯარო ფინანსების მართვა“** (40 მსმენელი).
- სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის, შესყიდვების დაგეგმვისა და ტენდერის ჩატარების პროცედურების შესწავლის მიზნით, განხორციელდა სასწავლო კურსი **„სახელმწიფო შესყიდვები“** (27 მსმენელი).
- კომპიუტერული ბუღალტრული პროგრამის გამოყენებით ფინანსური ანგარიშგების ასახვა და ანალიზის მიზნით, საბიუჯეტო და კერძო სამსახურების თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი **„ელექტრონული საბუღალტრო პროგრამა ორისი“** (11 მსმენელი).
- მართლწერის საკითხების შესწავლის, აზრის ჩამოყალიბებისა და ეფექტური დოკუმენტების

  შექმნის ტექნიკის დაუფლების მიზნით, ფიზიკური პირებისთვის ჩატარდა ტრენინგი **“სახელმწიფო ენა და ეფექტური კომუნიკაცია“** (10 მსმენელი).
- სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებისა და ფიზიკური პირებისთვის ხორციელდება ტრენინგი **„ფინანსური ანალიზი, ანგარიშგება, მართვა“**, რომლის ფარგლებში მსმენელები სწავლობენ შემდეგ საკითხებს: ფინანსური მენეჯმენტი, ფინანსური ანალიზი და ანგარიშგება, კორპორატიული ფინანსები, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა (19 მსმენელი).
- საქმისწარმოებაში დოკუმენტების სწორად გაფორმების, დაწესებულების ნომენკლატურის შედგენის, დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის ორგანიზება-ჩატარების, დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის შედეგების გაფორმებისა და დოკუმენტების საარქივო-ტექნიკურ წესრიგში მოყვანის მიზნით ფიზიკური პირებისა და ცესკოს თანამშრომლისთვის ჩატარდა ტრენინგი **„საარქივო საქმე და საქმისწარმოება“** (10 მსმენელი).
- სხვადასხვა სამინისტროს შიდა აუდიტის თანამშრომლებთან გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე **„ევროკავშირთან ხელშეკრულებით ნაკისრი ბუღალტრული**

აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმების ძირითადი ასპექტები“ (11 მსმენელი).

- შპს საქართველოს ფოსტის თანამშრომლებისათვის ტრენინგის დაგეგმვისა და განხორციელების თანამედროვე მეთოდიკის გაცნობის მიზნით ჩატარდა კურსი თემაზე **„ტრენერთა ტრენინგი**“ (12 მსმენელი).
- პროგრამის “LEAN SIX SIGMA მეთოდოლოგიის“, მიმოხილვა და ანალიზის სტადიების გაცნობის მიზნით სს საქართველოს რკინიგზის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი აღნიშნულ თემაზე (60 მსმენელი).
- ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან გაიმართა სამუშაო შეხვედრა „**ელექტრონული სააღრიცხვო პროგრამის 1C“** გაცნობის მიზნით (15 მსმენელი).
- სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებისთვის მიმდინარეობს ტრენინგები: **„ეფექტური კომუნიკაცია**“ (8 მსმენელი), **„სტრესის მართვა, ემოციური სტაბილურობა“** (15 მსმენელი) და **„სამეწარმეო სამართალი“** (16 მსმენელი).
- სახელმწიფო ხაზინ
- ის ელექტრონული მომსახურების სისტემის პროგრამაში მუშაობის ცოდნის დაუფლებისა და სისტემაში საჭირო ოპერაციების შესრულების მიზნით ფიზიკურ პირებს ჩაუტარდათ ტრენინგი **ელექტრონული ხაზინის პროგრამის გამოყენება** (10 მსმენელი).
- ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ჰოლანდიელი ექსპერტების ჩართულობით ჩატარდა ტრენინგი: “მხარჯავი დაწესებულების როლის გაძლიერება საბიუჯეტო პროცესში“ (34 მსმენელი).
- ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ჰოლანდიის ფინანსთა სამინიტროს წარმომადგენლებმა მონაწილეების პროფესიული უნარების განვითარების მიზნით ჩაატარეს სამუშაო შეხვედრა თემაზე: „ფინანსური მენეჯმენტი და კონტროლი“, საქართველოს რვა პილოტური სამინისტროს ფინანსების განმკარგავი ერთეულების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლებისთვის (40 მსმენელი).
- საზოგადოებაში აკადემიის შესახებ ცნობიერების ამაღლების და განახლებული, თანამედროვე სტანდარტებს მორგებული სასწავლო თუ ტრენინგ კურსების პოპულარიზაციის მიზნით ფიზიკური პირებისა და კერძო საწარმოების წარმომადგენლებისათვის გაიმართა ღია ლექციები აკადემიაში მიმდინარე სასწავლო კურსებისა თუ ტრენინგების თემატიკიდან გამომდინარე. (სულ 440 მსმენელი)
- **მოგების გადასახადის ესტონური მოდელის** გაცნობის მიზნით ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების ხელშეწყობით კერძო ორგანიზაციების ფინანსური სექტორის წარმომადგენლებისთვის გაიმართა სამუშაო შეხვედრები აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. (სულ 408 მსმენელი).
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებს კვალიფიკაციისა და ზოგადი

- უნარების ამაღლების კუთხით ჩაუტარდათ ტრენინგები და სასწავლო კურსები:

ფინანსური მართვა და ბუღალტერია; მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვა; საზოგადოებასთან ურთიერთობა; ეფექტური მომსახურების ტექნოლოგიები; ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა; სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვა; მშენებლობის ნებართვა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება; სახელმწიფო შესყიდვები; ზოგადი უნარები და კომპეტენციები. (სულ 148 მსმენელი)

- საჯარო სექტორში დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და გატარებული ცვლილებების გაცნობის მიზნით, ბიუჯეტზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი **„საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS 13,19,22,23,24)“** (305 მსმენელი).
- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო ორგანიზაციების ქონების, აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის წესების და პროცედურების დაცვის მიზნით სხვადსხვა ორგანიზაციის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი **„სავალდებულო და შერჩევითი ინვენტარიზაცია საბიუჯეტო ორგანიზაციაში“** (5 მსმენელი)
- სსიპ გარემოს დაცვის სააგენტოს თანამშრომლებისათვის ტარდება სასწავლო კურსი **„საბიუჯეტო ორგანიზაციების საბუღალტრო აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება“** (15 მსმენელი)
- კერძო კომპანიების თანამშრომლებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილება და გაფორმების პროცედურების, პრაქტიკული რჩევების გაზიარების მიზნით, ჩაუტარდათ ტრენინგი **„საბაჟო გაფორმება და პროცედურები“** (7 მსმენელი).
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საფინანსო სექტორში დასაქმებულებისთვის ჩატარდა სასწავლო კურსი **„ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება საბიუჯეტო ორგანიზაციებში“** (სულ 45 მსმენელი).
- მოგების გადასახადის რეფორმასთან დაკავშირებული საგადასახადო ცვლილებების გაცნობის მიზნით კერძო კომპანიებისა და ფიზიკური პირებისთვის ჩატარდა ტრენინგები „მოგების გადასახადის რეფორმა“ (სულ 164 მსმენელი).
- სსიპ- ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებთან ერთად ფიზიკურმა პირმა პრეზენტაციების ჩატარებისა და მოლაპარაკებების წარმოების ტექნიკების დახვეწის მიზნით დაასრულა ტრენინგი „**მოლაპარაკების წარმოება, არგუმენტირებული მსჯელობა და დარწმუნების უნარ-ჩვევები**“ (1 მსმენელი).

- აკადემიამ განახორციელა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური

- დაცვის სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროსა და ტექნიკური სამშენებლო ლაბორატორიის მიერ გამოცხადებულ ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსის შესარჩევი ეტაპის (პროფესიული მიმართულების, კომპიუტერული უნარების და ინგლისური ენის დონის დასადგენი ტესტირება) ორგანიზება და ჩატარება (432 აპლიკანტი).

საქართველოს სახელმწიფოებრივი და რეგიონალური ინტერესებიდან გამომდინარე, საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების (ტრენინგები, სემინარები და ა.შ.) ხელშეწყობა. საერთაშორისო და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება მათ შორის ერთობლივი სასწავლო პროექტების განხორციელების გზით.

- ფინანსთა სამინისტროს აკადემიისა და ააიპ თბილისის ევროპული ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ევროკავშირის სტრუქტურებისა და ინსტიტუტების გაცნობის მიზნით ჩატარდა ტრენინგები: **"ევროკავშირის სტრუქტურებისა და ინსტიტუტების მოდელირება"** (სულ 50 მსმენელი).
- ექსელი პროგრამის გამოყენებით ფინანსური ანგარიშგების ასახვისა და განთავსებული ინფორმაციის ანალიზის შესწავლის მიზნით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, თსუ-ს ბიზნეს ადმინისტრირების სტუდენტი, ფიზიკური პირებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან ერთად ესწრება ტრენინგს **„ფინანსური მოდელირება ექსელში"** (1 მსმენელი).
- სხვადასხვა სამინისტროს შიდა აუდიტის სუბიექტებისათვის თანამედროვე წარმატებული პრაქტიკის, მიდგომების გაზიარებისა და შიდა აუდიტის საფუძვლების გაცნობის მიზნით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამხრეთ კავკასიის ოფისთან თანამშრომლობით განხორციელდა ტრენინგი **„სისტემური აუდიტი"** (67 მსმენელი) და **„შიდა აუდიტის საფუძვლები"** (43 მსმენელი); **„ეფექტიანობის აუდიტი"** (21 მსმენელი), რეგიონალური ტრენინგი (სომეხი და ქართველი მონაწილეებისთვის) **„შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფა და გაუმჯობესება"** (24 მსმენელი).
- USAID-ის პარტნიორ ორგანიზაციასთან „მმართველობა განვითარებისათვის" თანამშრომლობით, სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი: **„საჯარო სამსახურში საქმიანობის სამართლებრივი და ეთიკური სტანდარტები"** (20 მსმენელი).
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამხრეთ კავკასიის ოფისთან თანამშრომლობით საქართველოს რეგიონების ააიპ-ების ფინანსური მიმართულების თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი **„სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა"** (191 მსმენელი).

- ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებისათვის ჩატარდა სასწავლო კურსები: **„საბიუჯეტო ორგანიზაციების საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგება“** (21 მსმენელი) და **„სახელმწიფო შესყიდვები“** (20 მსმენელი).
- ევროკავშირის მიერ „ენპარდის“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის „სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება“, რომელსაც ახორციელებს ევოლუქსერი, ფარგლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგები **„ანგარიშების წერა, საქმიანი კომუნიკაცია და კორესპონდენცია“** (2 მსმენელი), **„საბიუჯეტო სისტემა და პროგრამული ბიუჯეტირება“** (2 მსმენელი),**“საგადასახადო კანონმდებლობა“** (3 მსმენელი), **„საგადასახადო კანონმდებლობა და აუდიტის განხორციელების პროცედურები“** (6 მსმენელი), **„ფინანსური ანალიზი, ანგარიშგება და მართვა“** (3 მსმენელი).
- სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემიასა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის დადებული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში არსებული სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სისტემის მიახლოებას ევროკავშირის სისტემასთან, უცხოელი ექსპერტის მიერ საქართველოს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს თანამშრომლებისთვის განხორციელდა სამუშაო შეხვედრები თემაზე: **„არა-ცხოველური წარმოშობის სურსათის კონტროლის რეგულაცია“, „ფიტოსანიტარულ ღონისძიებებთან დაკავშირებული ISPM საერთაშორისო სტანდარტები“, „ცხოველური წარმოშობის პროდუქტების/საკვების კონტროლის პროცედურები“, „ფიტოსანიტარული პროდუქტების კონტროლის პროცედურები“** და **„ცხოველური წარმოშობის პროდუქტების სასაზღვრო კონტროლის პროცედურებზე სახელმძღვანელოები ცოცხალი ცხოველის ჩათვლით“**.
- ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში, ჰარმონიზაციის ცენტრის ორგანიზებით და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის სუბიექტის თანაორგანიზებით, აუდიტის სისტემის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საჯარო სექტორის შიდა აუდიტორებისათვის გაიმართა

- მასშტაბური ტრენინგი შემდეგ თემებზე: **„აუდიტის რისკის მენეჯმენტი“** (13 მსმენელი), **„რისკის მართვის აუდიტი“** (25 მსმენელი), **„ინფორმაციის მართვის აუდიტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაძლო ძლიერი და სუსტი მხარეები“** (19 მსმენელი).

- USAID-ის პარტნიორ ორგანიზაციასთან „მმართველობა განვითარებისათვის“

თანამშრომლობით, სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ტარდება ტრენინგი: **„საქართველო და ევროინტეგრაცია“** (25 მსმენელი).

- სხვადასხვა უნივერსიტეტის საუკეთესო სტუდენტებს მოტივაციის, ხელმძღვანელის კომპეტენციის, ეფექტური კომუნიკაციისა და სტრატეგიული ლიდერობის, ასევე სტრატეგიული მართვის მოდელისა და კონფლიქტების მართვის საკითხებზე ჩაუტარდათ ტრენინგი **„ლიდერობა და მართვა“** (25 მსმენელი).
- ეფექტური კომუნიკაციის წარმოებისათვის თანამედროვე მიდგომებისა და ტექნიკის, ასევე წერითი კომუნიკაციის პრინციპების გაცნობის მიზნით სტუდენტებისთვის **„სტრატეგიული კომუნიკაცია“** (12 მსმენელი).
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინსტიტუტთან თანამშრომლობით, საქართველოს, კავკასიისა და ცენტრალური აზიის საჯარო მოხელეებისთვის ჩატარდა სასწავლო კურსი თემაზე - **„ფისკალური ანალიზი და პროგნოზირება“,** რომელიც მიზნად ისახავდა მონაწილეებისთვის მიეწოდებინა სიღრმისეული ცოდნა ფისკალური საკითხებისა და ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკურ ეფექტებზე (28 მსმენელი).
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინსტიტუტთან თანამშრომლობით, საქართველოს, კავკასიისა და ცენტრალური აზიის საჯარო მოხელეებისთვის ჩატარდა სასწავლო კურსი თემაზე - **„მაკროეკონომიკური დიაგნოსტიკა“**, რომელიც მიზნად ისახავდა მსმენელთა იმ უნარების გაძლიერებას, რომლებიც დაეხმარებათ მათ სწორად შეაფასონ ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობა და ყურადღება გაამახვილონ იმ პრაქტიკულ ინსტრუმენტებზე, რომლებიც ყოველდღიურად გამოიყენება ეკონომიკური განვითარების ანალიზისთვის კომპლექსურ ეკონომიკაში (28 მსმენელი).
- ფინანსების მართვის რეფორმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი „**Cash Management**” (14 მსმენელი).

დასახული საბოლოო შედეგები:

1. ფინანსთა სამინისტროს სისტემის კადრების სწორად შერჩევა, პროფესიული სწავლება, მომზადება/გადამზადება და მათი მუშაობის ეფექტიანობის ზრდა.

2. საქართველოს სახელმწიფოებრივი და რეგიონალური ინტერესებიდან გამომდინარე, საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების (ტრენინგები, სემინარები და ა.შ.) ხელშეწყობა. საერთაშორისო და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება მათ შორის ერთობლივი სასწავლო პროექტების განხორციელების გზით.

3. ფინანსთა სამინისტროს პრიორიტეტებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს საფინანსო, საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის სწორად და ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობა - საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციებისათვის სასწავლო პროექტების, საკანონმდებლო სიახლეების გაცნობისა და დამატებითი სერვისების შეთავაზების გზით (მათ შორის კადრების შერჩევის ხელშეწყობით).

მიღწეული საბოლოო შედეგი:

4. ფინანსთა სამინისტროს სისტემა უზრუნველყოფილია სათანადოდ მომზადებული/ გადამზადებული კადრებით

5. სისტემაში პროფესიული ცოდნის დონის ამაღლების მიზნით მსოფლიოს წამყვან სასწავლო დაწესებულებებთან ერთად სასწავლო და ტრენინგ-პროგრამების შემუშავება-განხორციელება, მათ შორის, ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად განხორციელებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში;

6. სახელმწიფოს მიერ კერძო სექტორის განვითარების, ასევე, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებისკენ მიმართული რეფორმების აქტიური მხარდაჭერა სხვადასხვა სახის სასწავლო - შემეცნებითი, სემინარული და საკონფერენციო ტიპის პროექტების განხორციელების გზით.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. **ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა საბაზისო მაჩვენებელი** - წლის განმავლობაში მიმდინარეობს სასწავლო კურსების

განხორციელება ტრენინგების საჭიროებათა ანალიზის შედეგად შემუშავებული გეგმის მიხედვით, ასევე, სამუშაო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად

(მუდმივი პროცესი); 2015 წელს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გადამზადდა 678 თანამშრომელი. 2016 წელს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გადამზადდა 1185 თანამშრომელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობის ყოველწლიურად 10%-ით ზრდა.

ფაქტიური შედეგი - გადამზადებული კადრების რაოდენობა გაიზარდა 74%-ით.

2. **ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის კადრების შესარჩევად განხორციელებული ტესტირებების რაოდენობა**

საბაზისო მაჩვენებელი - წლის განმავლობაში აკადემია ორგანიზებას უკეთებს ფინანსთა სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ ვაკანტურ პოზიციებზე გამოცხადებულ კონკურსებს - პროფესიული მიმართულების, ასევე, უნარების შესაფასებელ ტესტირებებს (მუდმივი პროცესი). 2015 წელს აკადემიის ორგანიზებით განხორციელდა 25ტესტირება ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დასაქმების მსურველთათვის; 2016 წელს აკადემიის ორგანიზებით განხორციელდა 22 ტესტირება.
მიზნობრივი მაჩვენებელი - სამინისტროს სისტემაში და სხვა ორგანიზაციებში განხორციელებული პროფესიული მიმართულებისა თუ პიროვნების საკვლევი ტესტირებების რაოდენობის ზრდა 2.5%-ით.
ფაქტიური შედეგი - სამინისტროს სისტემაში და სხვა ორგანიზაციებში განხორციელებული პროფესიული მიმართულებისა თუ პიროვნების საკვლევი ტესტირებების რაოდენობა შემცირდა 12%-ით. აღნიშნული გამოწვეული იყო

ვაკანტური პოზიციების და, შესაბამისად, ტესტირებების განხორციელების საჭიროების შემცირებით.

3. **საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების, ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტების რაოდენობა.**

საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს აკადემიაში საერთაშორისო/უცხოური ინსტიტუციებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გადამზადდა 427 პირი. 2016 წელს აკადემიაში საერთაშორისო/უცხოური ინსტიტუციებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გადამზადდა 662 პირი.

მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების, ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტების ფარგლებში გადამზადებულ პირთა რაოდენობის ზრდა 5%-ით.
ფაქტიური შედეგი - გადამზადებულ პირთა რაოდენობა გაიზარდა 55%-ით.

4. **საჯარო და კერძო სექტორისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა**
საბაზისო მაჩვენებელი - წლის განმავლობაში აკადემია ორგანიზებას უკეთებს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატებით გავრცელების მიზნით ტრენინგების ორგანიზებას როგორც საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისთვის, ასევე, კერძო სექტორისთვის. 2015 წელს აკადემიაში გადამზადდა 3753 დაინტერესებული ადამიანი. 2016 წელს აკადემიაში გადამზადდა 2222 დაინტერესებული ადამიანი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საჯარო და კერძო სექტორისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობის ზრდა 5%-ით.
ფაქტიური შედეგი - საჯარო და კერძო სექტორისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა შემცირდა 41 %-ით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული განპირობებულია ორი მიზეზით: 2015 წელს მოცემულ რაოდენობაში გათვალისწინებული იყო რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ტრენინგები, რომელთა ფარგლებში გადამზადდა ჯამურად 1800-ზე მეტი ადამიანი. 2016 წელს ამ მიმართულებით სწავლების საჭიროება იყო ნაკლები, შესაბამისად, გადამზადდა 500-მდე მსმენელი. გარდა ამისა, შესყიდვების კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან

დაკავშირებით, აკადემიის მომსახურების შესყიდვა სხვა საჯარო დაწესებულებების მიერ არ იყო შესაძლებელი გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, როგორც ეს წინა წლებში ხდებოდა; შესაბამისად, სასწავლო მომსახურების შესყიდვასთან

დაკავშირებული სატენდერო პროცედურების სირთულიდან გამომდინარე, შემცირდა სახელმწიფო დაწესებულებების მხრიდან მონაწილეთა რაოდენობა.

5. **საჯარო და კერძო სექტორისთვის კადრების შესარჩევად განხორციელებული ტესტირებების რაოდენობა**

საბაზისო მაჩვენებელი - წლის განმავლობაში აკადემია ორგანიზებას უკეთებს დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ ვაკანტურ პოზიციებზე გამოცხადებულ კონკურსებს - პროფესიული მიმართულების, ასევე, უნარების შესაფასებელ ტესტირებებს (მუდმივი პროცესი). 2015 წელს აკადემიის ორგანიზებით განხორციელდა 7 ტესტირება სხვადასხვა დამკვეთი ორგანიზაციისთვის.
2016 წელს აკადემიის ორგანიზებით განხორციელდა 9 ტესტირება სხვადასხვა დამკვეთი ორგანიზაციისთვის;
მიზნობრივი მაჩვენებელი - სხვა ორგანიზაციებში განხორციელებული პროფესიული მიმართულებისა თუ პიროვნების საკვლევი ტესტირებების რაოდენობის ზრდა 2.5%-ით.
ფაქტიური შედეგი - ფაქტიურად ჩატარებული ტესტირების რაოდენობა გაიზარდა 30%-ით.